# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№440 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

**ა(ა)იპ – საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციისთვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა-ში მდებარე 1200 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 (პირველი სართული – 852,65 კვ. მ, მეორე სართული – 348,19 კვ. მ), №2 ფართით – 18,94 კვ. მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.028) დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, თხოვების ფორმით (შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) გადასცეს ა(ა)იპ – საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციას (ს/ნ: 204898744).

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია